



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

ბოროდინი ალექსანდრე პორფირის ძე

ბოროდინი ალექსანდრე პორფირის ძე [31. X (12.XI). 1833, პეტერბურგი, – 15(27). II. 1887, იქვე], რუსი კომპოზიტორი და მეცნიერი (ქიმიკოსი). მედ. მეცნ. დოქტორი (1858), აკადემიკოსი (1877), ქართველი თავადის ლ. გედევანიშვილის (გედეონოვის) შვილი (ჩანტერილი იყო როგორც თავადის მსახურის პორფირი ბოროდინის შვილი).

1856 დაამთავრა სამედ.-ქირურგ. აკადემია. 1874-იდან სამედ. აკად. ქიმ. ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ქალთა უმაღლესი სასწავლებლის, ქალთა საექიმო კურსების ერთ-ერთი ორგანიზატორი და პედაგოგი (1872–87), ქიმიაში 40-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომისა და არაერთი სიახლის ავტორი. იგი ცნობილი რუსი ქიმიკოსის ნ. ზინინის მოწაფე იყო. ბ-მა დაამუშავა ბრომჩანაცვლებული ცხიმოვანი მჟავების სინთეზის ორიგინალური მეთოდი. მიიღო პირველი ფტორორგანული ნაერთი – ბენზოლის ფტორიდი (1862). გამოიკვლია აცეტალდეპიდი, აღწერა ალდოლი და ალდოლური კონდენსაციის რეაქცია.

მუს. მოღვაწეობა დაიწყო XIX ს. 50-იან წლებში, იყო მ. ბალაკირევის წრის-„მდლავრი ჯგუფის“ წევრი. ბ-ის შემოქმედებითი მემკვიდრეობა რაოდენობრივად ძალგე მცირეა, მაგრამ მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს კლასიკური მუსიკის საგანძურში. ბ-ის მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ოპერა „თავადი იგორი“. სამეცნ. და პედ. მოღვაწეობით გადატვირთული კომპოზიტორი ვერ მუშაობდა ინტენსიურად, ოპერას წერდა 18 წელს და მაინც დაუმთავრებელი დარჩა (ბ-ის სიკვდილის შემდეგ იგი დაამთავრეს ნ. რიმსკი-კორსაკოვმა და ა. გლაზუნოვმა, დაიდგა 1890, პეტერბურგის მარიამის თეატრში). ოპერა გამოირჩევა სახეების მონუმ. მთლიანობით, ძლიერი ხალხ. საგუნდო სცენებით და ეროვნ. კოლორიტით. ბ. კლასიკური სიმფონიისა და კვარტეტის ერთ-ერთი შემქმნელია. მსოფლიო ეპიკური სიმფონიზმის მწვერვალია ბ-ის II სიმფონია (1876). ბ. კამერულ-

ვოკალური მუსიკის დიდი ოსტატია, ეკუთვნის რომანსები, სატირულ-იუმორისტული ხასიათის სიმღერები. ბის შემოქმედებას ამჩნევია რუს. ხალხ. და აღმ. ხალხთა მუსიკის კვალი („თავადი იგორი“, სიმფონიები, სიმფ. სურათი „მუა აზიაში“). „თავადი იგორი“ თბილისის ოპერის თეატრში პირველად დაიდგა 1898-99 სეზონში და პერიოდულად იდგმებოდა XX ს. 50-იან წლებამდე. ბოლო დადგმა განხორციელდა 1954.

ლიტ.: გ ა ხ კ ი ძ ე რ., ალექსანდრე ბოროდინი, თბ., 1978; С о х е р А., А. Бородин, М. 1965; 100 ქართველი უცხოეთში, თბ., 2010.

გ. ტორაძე
